განკარგულება:**გ-49.49212393**
თარიღი:**27/08/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 62

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 დეკემბრის №36 163 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის შესაბამისად:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 დეკემბრის №36 163 განკარგულების პირველი პუნქტით შექმნილი ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს შემადგენლობა 2021 წლის 16 აგვისტოდან შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„თავმჯდომარე --შალვა ხარაბაძე, თავმჯდომარის მოადგილე---დავით თუთბერიძე, წევრი დავით ბანძელაძე“.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი